საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

სუნამოს ისტორია

სუნამოს ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა. პირველი სუნამო **საკმეველი** იყო. მისი ბოთლები აღმოაჩინეს მესოპოტამიაში. როგორც ირკვევა, ოთხი ათასი წლის წინ მესოპოტამიელები უამრავ ფისს, ზეთსა და ხის ქერქს წვავდნენ თავიანთი რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად. ისინი ასველებდნენ ხის ქერქსა და ფისს წყლითა და ზეთით შეზავებულ საკმეველში და სხეულს იწმენდნენ. მიცვალებულსაც სწორედ ამ სითხით ბანდნენ.

ეგვიპტური იეროგლიფებიდან ვიგებთ, რომ სამი ათასი წლის წინ სუნამოს დამზადება ეგვიპტელებმაც დაიწყეს. თუმცა სუნამოს ისინი ძირითადად რიტუალისთვის იყენებდნენ. სუნამოს ბოთლებს ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერებისა და ჩამოვარდნილი მეტეორის ნარჩენებისგან ამზადებდნენ. სუნამოს ბოთლს მთელი ცხოვრების განმავლობაში კისერზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ. სიკვდილის შემდეგ სწორედ ამ სუნამოში ბანდნენ მიცვალებულს და მხოლოდ ამის შემდეგ ასვენებდნენ მავზოლეუმში.

ანტიკურ ხანაში სუნამოს ღვთის საჩუქრად მიიჩნევდნენ. ფიქრობდნენ, რომ მისი საშუალებით უნდა განედიდებინათ ღმერთი და მას დამსგავსებოდნენ. მაშინ სუნამოს დანიშნულება ჰქონდა ყვავილებსა და სურნელოვან ნივთიერებებს. ისინი გამოიყენებოდა როგორც ნედლი მასალა ღვთისადმი მიძღვნილ რიტუალებში. მათ სჯეროდათ, რომ სუნამო ავადმყოფობას კურნავდა და სხეულს უფრო სრულყოფილს ხდიდა.

არაბები პატივისცემის ნიშნად სტუმრებს მოსვლისას ვარდის წყალს აპკურებდნენ, წასვლისას - გუნდრუკს.

მარკო პოლოს მოგზაურობებმა არნახულად გაზარდა სანელებლებით ვაჭრობა. არომატებმა თანდათან მოაჯადოვა მთელი სამყარო. შუა საუკუნეების ევროპაში არომატულ ნივთიერებებს რელიგიურ დატვირთვასთან ერთად ჰიგიენური ფუნქციაც დაეკისრა.

სუნამოების დასამზადებელი ნედლეული ძნელად შესაგროვებელია, დიდ შრომას მოითხოვს. ამიტომ არცაა გასაკვირი სუნამოს სიძვირე. მაგალითად,

LIVEWORKSHEETS

საკმეველი გარკვეული ჯიშის ხის ფისია. თებერვალ-მარტში ამ ხის ქერქს სერავენ და იქიდან თეთრი ფერის სითხე გადმოდის.

მური ანუ სმირნა (არაბ. „მურ“ – „მწარე“) - აფრიკული და არაბული ჯიშის ხეებისგან მიღებული ძვირადღირებული ფისია. მას ანგინისა და კბილის ტკივილის დროს იყენებდნენ. ძველი ბერძენი მეომარი საბრძოლველად ისე არ წავიდოდა, თან იარების მოსაშუშებელი მურის მალამო რომ არ წაეღო.

გუნდრუკი (ბერძ. „ფუმიამ“ - „ვწვავ, ვაკმევ“) - ესეც სურნელოვანი ფისის ნაირსახეობაა. გამონათქვამი - „ღმერთებს კეთილსურნელება უყვართ“- ეგვიპტელებს ეკუთვნით და გუნდრუკიც მათი „გამოგონებაა.“ მას ღმერთების გულის მოსაგებად ტაძრებსა და სახლებში აკმევდნენ. ასევე იყენებდნენ საქმიანი შეხვედრების დროსაც.

მუშკი (ბერძ. „მუსკუსი“ - ჩლიქოსანი ცხოველი) ზოგიერთი ცხოველის ჯირკვლების მოქმედების პროდუქტია. თუმცა მუშკი მცენარეული წარმოშობისაც არსებობს. ეს ნივთიერება გარკვეული მცენარეების ფესვებში გვხვდება. შუა საუკუნეების ცნობილი ექიმი იბნ სინა (ავიცენა) ამ ნივთიერებას ფართოდ იყენებდა მედიცინაში. ის თვლიდა, რომ მისი საშუალებით სხვადასხვა დაავადების მორჩენა, დარღვეული სმენისა და ყნოსვის აღდგენა შეიძლება.

სუნამოს მთავარი საიდუმლოება მის შემადგენლობაში იმალება. თანამედროვე პარფიუმერული ნაწარმების შემადგენლობა ერთნაირია: სპირტი, წყალი და პარფიუმერული კომპოზიცია ანუ **კონცენტრატი**, სურნელოვანი ნივთიერებების ნარევი. განსხვავებას მხოლოდ პროპორციები ქმნის. უმაღლესი კატეგორიის სუნამოს წარმოადგენს 20-30%-იანი პარფიუმერული კომპოზიცია. იმისთვის, რომ სუნამომ თავისი სურნელი დიდხანს შეინარჩუნოს, მისი განსაკუთრებულად შენახვა არის საჭირო. გაუხსნელი სუნამოების შენახვის ვადა საშუალოდ 3 წელია. ხოლო გახსნის შემდეგ ის 6-18 თვე ინახება. თუმცა შენახვის წესების დაცვის გარეშე სუნამო შეიძლება ერთ კვირაში გაფუჭდეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ პარფიუმერიას სამი დაუძინებელი მტერი ჰყავს: შუქი, სითბო და ნესტი. სუნამო უნდა შევინახოთ თავისივე კოლოფში, სითბოსა და სინათლისაგან რაც შეიძლება შორს.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?**

   ა) ვინ ასრულებდა საკმევლით განბანის რიტუალს.
   ბ) რა დანიშნულება ჰქონდა სუნამოს მესოპოტამიაში.
   გ) როდის აღმოაჩინეს უძველესი სუნამოს ბოთლები.

2. **მესაპოტამიასა და ეგვიპტეში სუნამოს:**

   ა) ადამიანები სულ თან ატარებდნენ.
   ბ) სპეციალურ ბოთლებში ასხამდნენ.
   გ) წყლისა და ზეთისაგან ამზადებდნენ.

3. **რის გამო მიიჩნეოდა სუნამო ღვთის საჩუქრად ანტიკურ ხანაში?**

   ა) ის აძლევდა ადამიანებს სხეულის სრულყოფილების საშუალებას.
   ბ) ის ღვთისადმი მიძღვნილ რიტუალს ძალას ანიჭებდა.
   გ) ის ყვავილებისა და სურნელოვანი ნივთიერებისაგან მზადდებოდა.

4. **რატომ აპკურებდნენ არაბები სტუმარს ვარდის წყალს?**

   ა) ამით გამოხატავდნენ სტუმრისადმი პატივისცემას.
   ბ) ამით ერთგვარ რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ.
   გ) ამით ისინი ჰიგიენის წესებს იცავდნენ.

5. **რა განაპირობებს სუნამოს სიძვირეს?**

   ა) სუნამო იშვიათი ჯიშის ხის ქერქისაგან მზადდება.
   ბ) სუნამოსთვის ნედლეულად მხოლოდ მცენარეთა ფესვები გამოიყენება.
   გ) სუნამოს შემადგენელი ნედლეული ძნელად მოიპოვება.

6. **რა აქვს საერთო სმირნასა და გუნდრუკს?**

   ა) ორივეს ტკივილგამაყუჩებელი ძალა ჰქონდა.
   ბ) ორივე ძვირადღირებული ხის ფისია.
   გ) ორივე ჭრილობის მოსაშუშებლად გამოიყენებოდა.

LIVEWORKSHEETS

7. **რაზეა დამოკიდებული სუნამოების განსხვავებული არომატი?**

ა) მისი გამოყენების წესების დაცვაზე.

ბ) მისი შემადგენელი ნაწილების პროპორციაზე.

გ) მისი შენახვის ვადის ხანგრძლივობაზე.

8. **რა ინფორმაციას გვაძლევს ბოლო აბზაცი?**

ა) რატომ არის სუნამოს დაუძინებელი მტერი შუქი, სითბო და ნესტი.

ბ) რა უნდა გავითვალისწინოთ გახსნილი სუნამოს სურნელის შესანარჩუნებლად.

გ) როგორ დაადგინეს სუნამოს შენახვის განსაკუთრებული წესები.

LIVEWORKSHEETS